№ 859 სამშაბათი, 6 ივლისი — 1896—1899 — სამშაბათი, 6 ივლისი. № 85

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა

ველის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-თად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 ან „წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიას

ხელ-მოუწ... წერილებს რე-დაქცია ... ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-ტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთ...
თვით 60 კაპ.
...ნომერი 3 კაპიკი
...განცხადებისა
...სტრიქონი პირვე...
...კაპ., მეოთხეზე—5

...афія и Редакція
...съ Пурцели
...Дворцовая ул.
...янства.
...нъ № 339

წლის დამლევამდე
წიგნი
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 3 მან.

ქართული დრამატიულ საზოგ. გამგეობა

1—15 ენკენისთვემდე გამართავს გამოსაცდელ წარმო-დგენებს იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზე მო-ღვაწეობა, ამისათვის საზ. გამგეობა სთხოვს მათ განაცხადონ თა-ვის სურვილი 1 ენკენისთვემდე და შემდეგ გამოცდისა გამგეო-ბისა, არტისტების და სცენასთან დაახლოვებულ პირების თანდას-წრებით, მოწონებულ გამგეობა მოიწვევს თავის დასში დამდეგ ს-ზონისათვის. (10—2)

სა...ურნალო და სასარგებლო დასალევი

ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებ-ობს 1887 წ.

მოწონებული საექიმო უწყებისაგან და მენდლით დაჯილ-დოვებული ...რს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ თ. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუ-ჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო. საზოგა-დოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია. (100—41)

თ. კორონა.

ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ დღე-დღეზე ხალხი მატულობს აბასთუმან-ში ყველა მხრიდან.

იმ ადგილას, სადაც მემკ-ვიდრე ცესარევიჩი აღსრულ-და ჯვარია აღმართული და შაბათს კათოლიკეთა სამღვ-დელოებამ პანაშვიდი გადაი-ხადა, იქვე გადაიხადეს პანა-შვიდი მაჰმადიანებმა. დილა-ადრიანობით აბასთუმნის ყვე-ლა ეკკლესიები გაჭედილ ია მლოცველებით. სამგლოვიარო პროცესია აღსრულებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვა-მით აბასთუმნიდან ბორჯომს გაემგზავრება, სადაც დაუხვ-დება თავად-აზნაურობა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. დაწვრილე-ბითი ცნობა მემკვიდრე ცეს-არევიჩის აღსრულებაზე. 28 ივ-ნისს დილის 9 საათზე მათი იმპერატორებითი უმაღლესო-ბა მემკვიდრე ცესარევიჩი გიორგი ალექსანდრეს ძე გა-... გასეირნებლად მოძრავ ველოსიპედით აბას-თუმნის ზეკარის აღმართისა-კენ. ველოსიპედი ძრიელ სწრა-ფად მიდიოდა და ამ რიგად ...რ ვერსამდე გაიარა და მერე უკან დაბრუნდა ველოსიპე-დით. ამ დროს აბასთუმნიდან ...ოდიოდა მალაკნის მერძევე ...ლი დროგით, რომელმაც ...ინახა, რომ მემკვიდრე ცე-სარევიჩმა ველოსიპედი ნელ-... შეაჩერა და თან სისხ-... იფურთხებოდა. მერე ... ცესარევიჩმა გაა-...ი, გადმოვი-... რამ-... ...

...

...დ, რ...
...აუგრილა და ცოტ...
...ევინა და პირიც დ...
...მასობაში მემკვიდრე ც...
...ევიჩი აღსრულდა კიდეც
წყნარად და უტანჯველად.
აღსრულებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვამი სახახლე-ში წაიღეს, ადგილი, სადაც აღსრულდა მემკვიდრე შეზ-ღუდულია და ზედ ჯვარია აღმართული.

# Ს...ᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

* * ...ართლ-კახეთის თავად-აზ-ნაურობა დღეს ქვაშვეთის ტაძარ-ში გადაიხდის პანაშვიდს აღსრუ-ლებული მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენიებლად.

ამავე დღეს სიონის სობოროში გარდახდილ იქმნება მეცხრე დღის პანაშვიდი აღსრულებულის დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძეს სულის მოსახსენიებლად.

† ბარონი ა. პ. ნიკოლაი. შა-ბათს 3 ივლისს, თავის მამულში ბე-თანში გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ბარონი ა. პ. ნიკოლაი 79 წლისა.

ბარონ ნიკოლაიმ უმთავ-რესი ხანა თავისი სიცოცხ-ლისა გაატარა საქართველოში. 1845 წელს სრულებით ახალგაზ-და კაცად, 24 წლისა ...არც კი იყო, და მას შემდეგ დღევანდლამ-დე სულ საქართველოში მოღვა-წეობდა სხვა-და-სხვა მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობაში.

განსვენებული ბარონი სა... თველოს თითქმის სულით და ...ლით შეუერთდა, დაუმოყვრდა დაუნათესავდა კიდეც. მისი ქალ... ჰყავს გუბერნატორად ნამყოფს ს... იმპერატორო კარის ეგერმეისტერ... თავ. გიორგი დიმიტრის ძე შერვ...შიძეს.

განსვენებული დაჯილდოებ...ლი იყო ყოველვე რუს... ორდენებით და ჩინებ...

...რადაც იყო, ამ ცხო...
...იდის ამბით გარდ...
...50 წლის იუბილე...

...ადაგოგიუ...
...26 ივნ...
...იბი. თით...

თილ...
სოლ...
...ავო-6 იყო.
ერთ... ასიას ...ი. სკოლის ას...
წავლებელმა (გურია-სამეგრელოს
ებარქია, სენაკის მაზრა) ს. ბალ-
ქისედექ ბალავაძემ, მეორე გაკვე...

ექიმი
გ. ს. გერცენფილდი

ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარე-თიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (ათაშანგის) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტამ... (ელექტრონით).

ავადმყოფთ ყოველ დღე დებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადლის ქუჩა № 5.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში ნი საწოლია ავად-მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-გო, თვალისა და დედათა ავადმყო-ფობისანი,

ვადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-თამდე. შინაგან და ნერვების ავად-მყ... სწამლობს ს. ბ. თო-ფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერაძე.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

ამბულატორიასთან ... კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თო-ფურია

Лечебница С. В. Тонуріа въ Кутаисѣ

თილი რუსულს ენაში მისცა სოფ.
დაბზუის (ქუთ. გუბ. ოზურგე-
თის მაზრა) სამრ... სკოლის
მასწავლებელ... ბასილაშვილ-
მა და მესამ... ...შო გაკვეთი-
ლი ანგარიშ... სოფ. ნოვ-
ღერზნის (ე... ...ა) სამრ.
სკოლის მას... ...ლია გი-
ვარგიზოვმ...
მეოთხ... ...ილები
ისევ რუს... ...ლობას
მოჰხმარდა, ... გაკვე
თილი სასკოლ... ...ა ამ
დღიდგან დაიწყო. ...ა მე-
დიცინის ექიმმა ბ. ...
კიმ შესახებ საკლასო ...ის მოწ-
ყობისა და საჭირო ნივთებისა,
აგრეთვე ჰაერის სისუფთავის სა-
ჭიროებაზედ და სხვა გვარ სასარ-
გებლო ცნობების შესახებ.

29 ივნისს წირვის შემდეგ სე-
მინარიის ეკკლესიაში გარდახდილ
იქმნა პანაშვიდი მისის იმპერატო-
რობითის უმაღლესობის მემკვიდ-
რე ცესარევიჩის სულის მოსახსე-
ნიებლად.

ამავე დღეს მასწავლებელთ და-
ათვალიერეს სამხედრო მუზეუმი
(Храмъ славы).

30-ს ივნისს პირველი სანიმუ-
შო გაკვეთილი სღრმთო სჯულ-
ში მისცა გელათის სამინასტრო
სკოლის მასწავლებელმა ბ. პარმენ
ჩირაკაძემ და მეორე გაკვეთილი
რუსულს ენაში მისცა სოფ. ყიჯი-
ნის სამრ. სკოლის მასწავლებელ-
მა ბ. გ. თეოდოროვმა (ბერძენი).
...სამე გაკვეთილის მაგიერ სემი-
...რიის ეკკლესიაში პანაშვიდი იქმ-
... გარდახდილი მათი იმპერატო-
...ბითი უმაღლესობის მემკვიდ-
...ე ცესარევიჩის სულის მოსახსე-
...ებლად.

მეოთხე და მეხუთე გაკვეთილ-
ზედ ისევ გალობა იყო.

მეექვსე გაკვეთილზედ კი სას-
კოლო ჰიგიენა იქმნა წაკითხული
...ოზოროვსკისაგან.

1-ლს ...ლისს პირველი სანიმუ-
...თილი სალმრთო სჯუ...
...ცა სოფ. ჯვარის (...
მაზრა) სამრ. ერთ...
...ლის მასწავლებ...
...ანტურიამ. მე...
რუსულ... ...ა...
თარავა...
...სწ...

... თილ...
...ობის.
... პანა...
... გაკვე... ...ნაბა-
...ლი იქმნა ... ...ეგანა-
...რიისეუ ... ...ში ... მემკვიდრე
ცესარევ... სულის მოსახსენიებ-
ლად. 2-ს ივლისს, პირველი სანი-

მუშო გაკვეთილი სალმრთო სჯულ-
ში მისცა სოფ. ჩხენიშის სამრევ-
ლო სკოლის (ქუთაისს მაზრა) მა-
სწავლებელმა ბ. ვიქტ. ...არათა-
შვილმა, მეორე სანიმუშო გაკვე-
თილი რუსულს ენაში მისცა ბ.
ბერიძემ და მესამე გაკვეთილი ან-
გარიშში მისცა ბ. ბედიევმა. მეოთ-
ხე და მეხუთე გაკვეთილებზედ
ისევ გალობა იყო, ხოლო მეექვსე
სასკოლო ჰიგიენისა.

საღამოს რვის ნახევარ საათ-
ზედ გარჩევის შემდეგ კიდევ პანა-
შვი იქმნა გარდახდილი მისის იმ-
პერატორებითი უმაღლესობის მემ-
კვიდრე ცესარევიჩის სულის მო
სახსენიებლად.

3 ივლისს, პირველი სანიმუშო
გაკვეთილი სალმრთო სჯულში
მისცა სოფ. სკანდეს (შორაპნის
მაზრა) სკოლის მასწავლებელმა ბ.
ბოქორიშვილმა, მეორე სანიმუშო
გაკვეთილი რუსულს ენაში მისცა
სოხუმის სამრევლო სკოლის მას-
წავლებელმა ბ. შჩეპოტიევმა და
მესამე გაკვეთილი ანგარიშში მის-
ცა სოფ. შაგარიას (ეჩმიაძინის
მაზრა) მასწავლებელმა ბ. ბენიამინ
გიგარგიზოვმა

ამ გაკვეთილების გარჩევა, რად-
გან ჯერ არ დამთავრებულა, ამი-
სათვის შემდეგ ნომერში, ვეცდე-
ბით, გამოვაცხადოთ მათი ავ-კარ-
გი.

4 ივლისს, კვირას წირვის შემ-
დეგ პანაშვიდი იქმნა გარდახდი-
ლი მემკვიდრე ცესარევიჩის სუ-
ლის მოსახსენებლად.

ამ დღეს საღამოს ნ. გ. ბ. ტა-
ტიევის და ს. ა. ბ. მურახავსკის
წინამძღოლობით მასწავლებლებმა
დაათვალიერეს ბატანიკური ბაღი.
„ორანჟირეიში“ აგრონომმა ბ. რო-
ლლოვმა გააცნო შესახშნავი
სხვა და სხვა მცენარეებ... ყვა-
ვილები, რომელთა შ... მას-
წავლებელთა ... ...რად-
ღება ... ...ლერ-
... ...ელიც
... ...ატებს
... ...აჟენი
... ...ლოდ
... ...მნავია
... ...თებენ
... ...ო კი
... ...ლოდ ნა-
... ...კვის ხე,
... ...სამ-ფოთ-
... ...ილიც
... ...ტანს
...მი...
... სხვა...
...ათვალიერეს აგრეთვე ახლად
...ნებული ზემოდ კლდეზედ ბა-
ღი. საღამოს 8 საათზედ დაბრუნ-
დნენ, გადაუხადეს რა მადლობა ბ.
როლლოვს.

გუშინ 5 ივლისს უკანასკნელი
სანიმუშო გაკვეთილები მისცეს;
პირველი—სალმრთო სჯულში ახ-
ლად მასწავლებლის წოდება მი-
ღებულმა ბ. დეკანოზოვმა, მეორე
—რუსულს ენაში—სოფ. ახმეტის
(თიანეთის მაზრა) სამრ. სკოლის
მასწავლებელმა ბ. ვას. არევაძემ
და მესამე გაკვეთილი ანგარიშში
მისცა სოფ. ოთხარის (სოხუმის
ეპარქია) სამრ. სკოლის მასწავლე-
ბელმა ბ. ვეკუამ. ამ გაკვეთილე-
ბის ავ-კარგს შემდეგ ნომერში
გამოვაცხადებთ, მეოთხე და მეხუ-
თე გაკვეთილები ისევ გალობას
მოჰხმარდა, ხოლო მეექვსე—გი-
გიენას და კურსებიც გათავდა.

დღეს, 6 ივლისს დანიშნულია
გამოცდა გალობაში კურსელები-
სა.

ონისიმე.

*** **თელავი.** *ყოვლად სამღვ-
დელო კირიონის წირვა.* 26 ივ-
ნისს თელავის ღვთის მშობლის
სობოროში მწირველი ბრძანდე-
ბოდა მისი ყოვლად უსამღვდე-
ლოესობა ალავერდის ეპისკოპო-
სი კირიონი. რადგანაც იმერეთის
ეპისკოპოსის გაბრიელის გარდა-
ცვალების შემდეგ ალავერდის
ეპისკოპოსი ილარიონი გადაყვა-
ნილ იქმნა, მისათვის მას შემდეგ
თელავში ეპისკოპოსის წირვა
აღარა ყოფილა. გაიგეს რა თე-
ლაველებმა პეტრე-პავლობის დღეს
მწირველი ბრძანდებაო, ყველა ...
... მიეგებო იმ დღეს ...
ელოდნენ მას მოუთმენლად, მისი
ყოვლად უსამღვდელოესობა მობ-
რძანდა შუა მთის მონასტრიდამ
თელავში დილის 9 საათზედ პირ-
და-პირ ეკკლესიაში. ეკკლესიაში
მას დაჰხვდა თელავის სამღვდე-
ლოება დეკანოზები, ბლაღოჩინი
და სხ. მღვდლები. წირ...ზე გა-
ლობდა ქართული ხორო მღ. ირ.
შა...ევის ლოტბარობით, რო-
მელსაც შეადგენდნენ: იოს. მო-
ნადიროვი, ივ ბერაძიანი, დ. ახ-
მეტელოვი, ის. ჩეკუსოვი, დ. ხე-
ლაევი და სხვანი. მისმა ყოვლად
უსამღვდელოესობამ პირველად
გარდაიხადა პარაკლისი ახლად
დაბადებულ მარიამისათვის, მერე
წირვა დაიწყო, ხოლო წირვის
უკან პანაშვიდი გარდაიხადეს მემკ-
ვიდრე ცესარევიჩის გიორგის
სულის მოსახსენებლად, წირვას
და პანაშვიდს აუარებელი ხალხი
დაესწრო, ... გათავდა 10 ...

თ—ი.

*** **ზუგდიდის-კახათი** (სამეგ-
რელო). *სოფლის ყრილობა.* გა-
სულ კვირას ადგილობრივი სასა-
მართლოს მიდამო გაჭედილი იყო
ხალხით. ამ დღეს მზემ მეტად
დააცხო დადამიწა და შეაწუხა პე-
რანგისამარად ჩვეულნი გლეხკა-
ცობა, რის გამო მახლობელ მინ-
დორზე ჩრდილს შეეფარნენ. მარ-
ტო ჩვენი მოსე მწერალი სასამა-
რთლოს არ მოშორებოდა და ...
რად იყო გადაქცეული... სწორ...
დაჰკრა მეხუთე საათმა თუ არა
ინძრა ბრბო და მოისმა მამა...
ლისის დუდღუნი, მწერლის ...
კუნი და ნაცვლ...ს რბევა-...
ლი, აქ, აქმო... ...ო მოახ...
ებლიყო ვიღასიც ...ი, რომ...
შიაც იჯდა ბ. მ...იგებელ-...
მავალი თავ. ჭავჭავაძე და ...
მწერალი. ხალხმა მოიხადეს ქ...
ბი და გაუკეთეს წრე, მომრ...
ბელ-შუამავალი კი მიესალმა
და გაემართა კანცელარია...
ცოტა ხნის ...ენების შემ...
ნახა ჩვენი სოფლის მწერალი ...
სულად დაელაპარაკა, რომ...
მაც გადასცა ხალხს. ხალხმა
მოისმინა თავიანთი თხოვნის
სახებ, გაგზავნილი ოლქის
როსთან გადასახლებულთ კ.
დანია და კიმო ხვირავას დაბ...
ნებაზე, მოახსენეს „ნამდვი...
ვითხოვეთ წინანდელი განაჩ...
დაუქმებაო“. როდესაც შეეკ...
ხელახლად: „რა მიზეზით გაგ...
ნეთ და რა მიზეზით თხოულ...
თო?“, მაშინ მოახერხეს ჩვეუ...
რივად სტატიების გაშლა, ...
იცის ვის არ აპრალებდნენ; ...
ლიციის ...ლადეობას თუ ს...
რომლით...ად დაარწმუნეს
მომრიგებელ-შუამავალი. ეს ...
გი და პატიოსანი,—ბრძანა: ...
...კვირველია, ... ქენ უნდა ...
ბოდეთ თქვენგა... სოფლის ...
როებას და მე დამრღვევ...
ტონებს მკაცრი სასჯელ...
იმორჩილებდეთ, მაგრამ ა...
როგორც დღეს ვხედავთ. ...
წინდაწინვე ... ...თებთ აწო...
წორკა, ღირსია თუ არა ამა
იმ სასჯელისა და არა მერე
მოცნობ მოგონიება მით უმ...
რომ ამით არამც თუ სწორ...
პირიქით უორკეცდება ცუდნი
მოდგენანი და ვარდება იმავე
საცდელში, მიუხედავად ყ...
ამაებისა ჩემგან შეკრებილ ცნ...
ბს წარუდგენ ბ. გუბერნატ...
თუკი შეიწყნარა. მოისმა ღრი...
ხალხისა, „მადლობელი ვართ
ტონო“.

ამის შემდეგ ისევ ჰუბრ...
მათ: „აი უგანათლებელესის
მინგრელსკის სალალ... ...
გორც იფიქრობ დიდი უს...
მასწორორესა ...ადა იყოსო,
ლისათვის სასურველად ვრაც...
მოგა...ანოთ ორ-ორი სათ...
ანი ..., ერთი თქვენის და ...
კნი... ...მხრივ, ხსენებულ ...
გამასწორებლად, მასთან 18...
უკანა ქორონიკონის ნედო...
...რ მიიღებიან ყურადღებაში,
ბი კი უნდა გასწორდეს ვა...
ბულისაგან ვექსილის გადახდ...
ამის თანახმობაც გამოაცხადა
ხმა და მყისავე იქმნა ამორჩ...

...თხი პირი ზემონათქვამი დანინულებისადმი.

...ბოლოს, მისცა რა ჯეროვანი ...წავლა დარიგებანი, მამასახლისს ...ა მისს მწერალს, გასწია ზუგდი...ისაკენ, ხალხი დაიშალა.

ლუკა ხუნწარია.

*** **ს. ჯუმათი.** (გურია) ადგილობრივ მემკვიდრეთა მდგომარეობა. კომლიურის აღწერილობით 1886 წ. შეადგენს განურჩევლათ წოდებისა 305 კომლს. ამათგანი: 3 აზნაურია, 34 სასულიერო წოდებისანი, ხოლო 268 გლეხები. ...ლეხები განიყოფებიან შემდეგ ნაწილებათ 19 მესაკუთრენია 229 სახელმწიფონი, 19 ხიზანნი, ხოლო ... დროებით ვალდებული. კომლის რიცხვი აღწერილობის თანხმად, გლეხების 268-ა, მაგრამ ამისაგან ...ამოცდა რვა, უმიწა-ადგილობის ...ყალობით გადასახლებულია სხვადასხვა ქალაქებში და სოფლებში. ...ესაკუთრეობა აქ გლეხისთვის მხოლოდ ფორმალურად მიუნიჭებია ...ამგეობას, თორემ შეძლებაზედ (სიმდიდრეზე) ნურას ვიტყვით, რადგანაც იმათგანს ზოგს მარტო ...ამოსახლოთ ერთი ქცევა მიწა ...ქვს, ზოგს, რომლებსაც მდიდრეათ რაცხენ, მიწა არ აღემატება ...ის ქცევას და ზოგს სრულებით ...რასფერი არ გააჩნიათ, რადგანაც ...ბატონისაგან შეწყალებული მენ... ნადელის მიწა სხვა-და-სხვა ...ოჯახის გაჭირვებულმა მდგომარეობამ გააყიდვინა და დარჩნენ ...ის ამარა ცარიელ-ტარიელნი. ...აც შეეხება სახელმწიფო გლეხებს ამ მდგომარე 1899 წლამდის, ...უმცა-ლა მცირე რიცხვი მაინც ...სარგებლობდნენ მამა-პაპეულ ად...ით, მაგრამ მიჯვნის დროს ...ჩამომდგარმა დავამ სხვა დალი და...სვა... მათი ქონებული ადგილები სულ სახაზინოთ გადვიდა. მთა...ორიანი ადგილების სარგებლობა, ...ადაც საშემ-წკნელეთ ჰქონდათ ...ჩენილი, სახაზინო ადგილების ...უფროსებმა აღუკრძალეს. აქაურე...ი დიდის ხნიდან მიწის უქონლობისა გამო საზრდო საკვების მოსა...ოვებლად მუშაობდნენ თავ. გუ...იელის ადგილში, რომელიც მოქ...ებულია ამ სოფლებზე, მოსავლი...აგან ნახევარს აძლევდათ ადგილის მეპატრონეთ, ხოლო დანარჩენით უნდა დაეკმაყოფილებია, სახელმწიფო, სასოფლო და სხვადა-სხვა ოჯახის მოთხოვნილება მაგრამ მოგეხსენებათ აქაურ ქცევა მიწაზედ მოვა წელიწადში არა უმეტეს 50 ფუთი სიმინდისა (თუმც კარგი მიწ...). გლეხმა დაიმუშავა ...ვთქვათ ხუთი ქცევა, ესე იგი 250 ფუთი ს...მინდი, ამისაგან ნახევარი (125 ფუთი) მიიღო ადგილის მეპატრონემ, დაურჩა 125 ფუთი. გლეხის ოჯახი შუათანა რიცხვით შეადგენს ხუთს სულს, ამათთვის სარჩოთ საჭიროა 120 ფუთი (სულზედ სარჩოთ 24 ფ.) სხვა მოთხოვნილებისთვის დაურჩა 5 ფუთი. (რა ქნას 5 ფუთმა?!.) დაინახა რა ასეთი გაჭირვება აქაურმა გლეხკაცობამ, მიატოვეს თვისი სოფელი და 70 კომლამდის, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მიიხიზნეს სხვა და სხვა ქალაქებში და სოფლებში. დანარჩენები კი დღიურის საზრდოს მოსაპოვებლად, რადგანაც აქაური მებატონის მიწაც არ აუხდათ დასამუშავებლად მიდიან დ. გრიგოლეთში თავ.ვ. გ—ელის ადგილებში, შავი ზღვის პირათ, რადგანაც წინეთ ამათი ადგილები რიგიანის ნიხრით იცემოდა მუშაკნცზედ, მაგრამ აქაც ის დღე მოელის, რაც მათსავე სოფელშივე ადგათ: თავ.. ვ. გ—ელისაგან ბრძანება ჰქონდათ მიცემული მუშა ხალხს, რომ „მეოთხედის და მესამედის მეტს მოსავლისაგან არ გარდაგახდევინებთო“, მაგრამ მისი მოხელენი ასე არ იქცევიან: შეხედვენ თუ არა ძარში (ნალია) მოთავსებულ ტაროთი სიმინდს „ამდონის გამოსავალიაო“ ჩაწერენ დავთარში მორჩა და გათავდა. თუ გინდ რაც დაფასებულია იმის მეტი არ გამოვიდეს მის სიმინდს, ერთიანად უნდა მიუტანონ, აბა, „კაკალს“ ვინ შე...ნს!!. ასეთი შეფასების წყალობით შესაძლოა ათში ერთს, რომ სამესამედოთ დაუჯდეს მშრომელს. მაგრამ ბევრსაც კი ნახევარზედ მეტიც მოუნდა. ეხლა გადვიდეთ ბ. ა. ფურცელაძის ანგარიშზედ: ჯუმათის სოფელი შეადგენს ყველა წოდებიდან 305 კომლს, ამათგანი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 3 აზნაურია, 34 სასულიერო წოდებისანი, ხოლო 368 გლეხნი; გლეხები განიყოფებიან ასე: მესაკუთრე 19, სახელმწიფო 229, ხიზანი 19, ხოლო დროებით ვალდებული 1; ამათგან სრულიად უმამულო და უსახლკარო 4, მარტო სახლკარი აქვს და სხვა არაფერი 3, 40 კომლამდე იქმნება, რომლებსაც თითო ქცევა ვენახი (იზაბელა), სამსამი ქცევა სახნავ-სათესი ადგილი გააჩნია საკუთარია თუ სახელმწიფო, დანარჩენს კი თითო ქცევა სამოსახლო და საზოგადოთ არც ერთი კომლი არ მოიპოვება, რომელსაც თვისი ადგილ-მამულით შეეძლოს ოჯახის შენახვა, რომლის მიზეზითაა, რომ ისინი სარგებლობენ სადალოთ აღებულ კერძო მემამულეების ადგილებში.

ოცი წელიწადია, რაც ჩხავერი (უწარჩინებულესი ღვინო გურიაში) ვენახის სენმა ხელიდან გამოგვაცალა. მას აქეთ მივყ... ლი ადესის ვენახის ... მოშენებას. თუმცაღა გურიის სხვა სოფლებზედ კარგის ჰავის წყალობით უმჯობესი მოდის აქ და კარგათაც ხარობს, მაგრამ ღვინო მისი ივნისის დასაწყისშივე ფუჭდება, (ნაყს), რადგანაც ამის წამლობა და ხეირიანათ შენახვა არ ვიცით. საჭიროა ვინმე გამოცდილმა პირმა დაგვდოს ვალათ, მიიღოს თავის თავზედ შრომა და გაზეთის საშუალებით დარიგება მოგვცეს, თუ როგორ შეიძლება სადაო (მოუნაყელათ) შეინახებოდეს ღვინო (იზაბელა) ზაფხულობით, რომლის მიზეზით დიდი ზარალი აქვს არა მარტო ჩვენს სოფელს, არამედ მთელ მაზრას.

ს. ლაშის-პირელი

*** **ახალ-სენაკი.** წრევანდელი ბაზრობა. წელს პეტრეპავლობას, როგორც წინა წლებშიაც, ახალსენაკში ბაზრობა იყო გამართული და დიდძალი ხალხიც მოაწყდა, ბაზრობა სამ დღეს გასტანს ხოლმე. განსაკუთრებით ბევრნი იყვნენ მსურველნი ჯირითობისა და დოღისა, რომელსაც აქ მართლას ეძახიან და ბურთაობისა. ხალხმა დენა დაიწყო ჯერ კიდევ 27 ივნისიდან. ბევრნი იყვნენ აგრეთვე აფხაზეთიდან, განსაკუთრებით ცხენოსნები, რომელნიც დოლის...ის ჩამოსულიყვნენ, მაგრამ ... ადე...ქ ის არის, რომ ადგილობრივ ად...ინისტრაციამ აღკრძალა დოღ... ...ითამდა იმ მოსაზრებით, რომ ...ლება დოლს რაიმე უბედურებ...ა მოჰყვეს, როგორც წელს მარიგი ზუგდიდშიო, სადაც უწესრიგობას რამდენი სული უმსხვერპლია კიდეც. ადმინისტრაციის ...მა განკარგულებამ ბევრს გუდო...ი გაუტეხა. უწესოების შიშით ნია...ის მოშლა ჩვენ არა გვგონია საფუძვლიანი იყოს, დოლისთვის ...დენათვის თვითონ მთავრობა რამ...აქ ...ფულს ხარჯამს ხოლმე და ...ციაჯი აღკრძალეს. ადმინისტრაცი...გი ...იმისთა... არის, რომ წეს-რიგი ...ხოლ დაიცვას და აქვე შეუდგეს ადგ...მე თავდარიგს. რატომ სხვა სოფლებში არ არის ხოლმე უწესრიგ...ან ...ბა დოღის დროს; ხალხი ყველგან ...ხალხია და უწესოება ყველგან ...ცია ხშირია, მაგრამ ადმინისტრა...ხოლ უწესოებას მალე ამოსდებს გად...მე ლაგამს... ასე და ამ რიგად ბევრ... წელს დოღი არ იყო, რამაც ...ი დაალონა.

...ამერიკა სამეგრელოში. ამ მაგ...ობაში ბევრი რამე ვნახეთ, გაგვამ ერთმა სანახავმა სწორედ რიკ...ოცა. ჩვენ მოგახსენებთ ამე...ულ რეკლამაზე, აქეთკენ კარ...ცნობილს კომისიონერს მეგ... ...რომელიც სხვალია; ... ...ამ ვინიმე კაცი და სწორ... ...ილ-ამერიკულად მოუწყვია, სა... ...ებეჭდინები, ვე...ებერთელა აფ... რაღაც ოთხკუთხ იაშჩიკებზე ...ავს გაკრულ იაშჩიკებში ჩაუსვ... კაცი და ასე უტარებია ისინ... ...ჩა და ბაზარ-ბაზარ. ამ სან... ...ისი გავლენა იქონია და ხ... ...კარივით დაესია, რადგან ეგ რეკლამა ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხნისა იყო, ამიტომ ხალხს პაპიროსებსაც სთავაზობენ. იქვე არიგებენ რაღაც პატარა აფიშებს იმავე ეფინჯიანცის ქარხნის თამბაქოზე. ამის გარდა ატარებდენ ოდესელ ...აის მოვაჭრის ტერტუსის ჩაის და ...ფილისელ ვაჭრის ხუბლაროვის სასმელებს.

მართალია, დღეობას წვიმაკოკისპირულად მოდიოდა, მაგრამ ყოველფერს სიცხოველე ეტყობოდა და ბაზრობამ კარგად ჩაიარა.

პიპი.

---

## ყურმოკრული საუბარი

მეკობრების საუბარი.

— ერთს ბოთლს ღვინოს რომ მოვიდგამ, ყველაფერი მავიწყდება ხოლმე.

— ძალიან ცუდათ მოგსვლია. უთუ... ველთვის უნდა გახსოვდეს, რომ იმ ბოთლ ღვინოში ფული უნდა მისცე.

***

ერთი გურული ჯორით ... შინ. როცა თავის ჭიშკართან მიაწია ჯორმა უკვინტა და ძირს ჩამოაგდეუნდოდა ქეიფმა, მაგრამ ვიდრე ის წამოდგა, ჯორი გარბოდა და რაკი დარწმუნდა, ვეღარ დავეწევიო, მიაძახა უკან:

— კაი წაგიხდა, აქანაი მაინც ჩამოხტომა მინდოდა!..

---

## სამეურნეო ცნობა

### ხეხილების გამრავლება.

1 კითხვა. რა ღონისძიებით შეიძლება ხეხილების გამრავლება?

მიგება. ხეხილების გამრავლება შეიძლება თესლით და ნამყენებით.

2 კითხვა. როგორ თესლებს სთესვენ ხეხილების გასამრავლებლად?

მიგება. ხეხილების გასამრავლებლად სთესვენ ხეხილების თესლს.

3 კითხვა. თუ დავთესეთ კარგი ჯიშის ხეხილის თესლები შეიძლება, რომ მივიღოთ იმისთანავე საუკეთესო ხილი თუ არა?

მიგება. ბევრჯელ კარგი ხილის თესლებიდან გამოდის უჯიშო ხილი, მაგრამ ბევრჯელ გამო... იმისთანა ხილი, რომ სჯობნ... ხილს, რომელი ხილისა... ...ეუ... თესილი თესლები. მაინც და ... სჯობია გარეული ხეხილის ...ლოების გამრავლება.

...ხაა. მ. ...

ვამრავლოთ კარგი[...]ის ხეხილები?

მიგება. კარ[...]მის ხეხილები შეიძლება გამ[...]ვეს ნამყენებით.

5 კითხ[...]იძლება ხეხილების ტოტე[...]გას პირდაპირ მიწ[...]ც რგავენ სხვა მცენარეს ტო[...]ებს?

მიგება. ხეხილების ტოტები მაგალითად: ვაშლისა, ქლიავისა, ატმისა, გარგარისა, ბლისა, ალუბლისა, შინდისა, შეუძლებელია პირდაპირ დაირგას მიწაში, რადგანაც ესენი არას დროს არ იკეთებენ ფესვებს. დანარჩენი ხეხილების ტოტები კი მაგალ.: თხილის, კაკლისა, ბროწეულისა, ლეღვისა, კომშისა, თუთისა, ვინერიჯისი, მოცხარისა და ჟოლოსი შეიძლება დაირგას მიწაში და ადვილად იკეთებენ ფესვებს.

6 კითხვა. თუ ხეხილების ტოტები არ იბამენ (უშვებენ) მიწაში ფესვებს, მაშ რა ვუყოთ, რომ მათ შეეძლოთ ცხოვრება?

მიგება. მაშინ ამისთანა ტოტების ცხოვრება შეიძლება სხვა ხეხილების შემწეობით.

7 კითხვა. როგორ უნდა გაზა[...]ლონ უფესვო ტოტები სხვა ხეხ[...]ლების ფესვებში?

მიგება. სხვა ხეხილების ფესვებს [...]ოძლიანთ გაზარდონ, როდესაც [...]

[...]ბთ მათზე, ე. ი. მყნობით.

8 კითხვა. რა არის მყნობა?

მიგება. მყნობა არის შაერთება [...]თი ხეხილის ნაწილისა მეორე [...]ხილის ნაწილთან; იმ ხეხილიდან, რომელიც ჩვენ გვინდა გავამრავლოთ, ვჭრით პატარ-პატარა [...]ამწიფებულ ყლორტებს, ასე რომ [...]ითო ყლორტზედ უნდა იყვეს [...]როლი თვალი *).

9 კითხვა. რა ჰქვიან იმ ხეს რა[...]ზედაც ჩვენ ვამყნობთ პატარა ყლორტს?

მიგება. იმ ხეს რა ხეზედაც ჩვენ მყნობთ ჰქვიან უჯიში (ДИЧОКЪ.)

10 კითხვა. რა ღონისძიებით [...]ეიძლება ამ უჯიშის გამრავლება?

მიგება. უჯიშის გამრავლება შეი[...]ლება თესლით

11 კითხვა. რაგვარ თესვენ უჯი[...]ს გასამრავლებლად?

მიგება. უჯიშის გასამრავლებ[...]ლად სთესავენ გარეულ ხეხილების თესლებს (СѢМЯНЪ ОТЪ ДИКИХЪ ПЛОДОВЪ).

12 კითხვა, შეიძლება უჯიშის გამრავლებლად დაითესოთ თესლე[...] ნამყენ ხეხილებისა?

*) [...]ხილების მყნობაზე დაწვრილებით [...] ჩემ წიგნაკში, სახელდობ[...] [...]ლე ცარიგება ხეხილების გამრავ[...] [...]ის, გამოცემული 1892 წ. ის[...] [...]ილისში ზაქარია გრიჭუროვის [...]ამი, ალექსანდროვის [...]

მიგება. შეიძლება, მაგრამ ძნელად იშოვება ნამყენ ხეხილების თესლები; გარდა ამისა ნამყენ ხეხილების თესლებიდამ მოშენებული ხეხილი დიდხანს ვერა სძლებენ, ეშინიანთ სიცივისა.

13 კითხვა რამდენ გრუპათ იყოფებიან ხეხილები?

მიგება. ხეხილები იყოფებიან ორ გრუპათ: კურკიანი და უკურკო.

14 კითხვა რომელი ხეხილები ეკუთვნიან კურკიანს?

მიგება. კურკიან ხეხილებს ეკუთვნიან: გარგარი, ჭერამი, ატამი, ნუში, ქლიავი, ბალი, ალუბალი და უნაბი.

15 კითხვა. რომელი ხეხილები ეკუთვნიან უკურკოს?

მიგება. უკურკოს ეკუთვნიან: ვაშლი, მსხალი, კომში, ლეღვი და ბროწეული.

არჩილ დარეჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

1 ივლისი.

**ვენა.** მაშინვე, როცა ამბავი მოვიდა მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების შესახებ, იმპერა[...] [...] სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ხე[...] მწიფე იმპერატორს.

**პარიზი** დღეს, ეროვნულ დღ[...] სასწაულის დროს, მშვენიერი ამ[...]დია. საზოგადოების შენობანი ედ მრავალი კერძო სახლი ბაირაღებით არის მორთული. დერულერიმა და გაბერმა, „პატრიოტთა ლიგის“ რამდენიმე ასი წევრის თა[...]ს დასწრებით, გვირგვინი დაა[...]ს; სტრასბურგის ძეგლის საფეხურს ამ დროს გაისმოდა: „გაუმარჯოს! ჯარს! გაუმარჯოს დერულებ[...] გაუმარჯოს საფრანგეთის რესპუბლიკას!“ შემდეგ ყვ[...]ნი წავ[...] წამოვიდნენ უნიციდ[...]ოდ.

3 ივლისი

**პეტერბურგი.** 28 ივნისს, დღ[...]ლის 9 საათზედ, მისი უმაღლესობა მემკვიდრე ცესარევიჩი გიორგი ალექსანდრეს ძე წაბრძანდა სასეირნოდ ბენზინით მოძრავ ველოსიპედით აბასთუმნიდგან ზეკარის უღელტეხილისაკენ. მიიან უმაღლესობამ ორი ვერსი ძალიან სწრაფად გაიარა და შემდეგ უკან გამობრუნდა. ცესარევიჩის [...] მიმავალმა მალაკნის ქალმა [...] დოსაევისამ დაინახა, რომ ცესა[...]რევიჩი უკან დაბრუნების [...]ამს ველოსიპედს ნელა მოატ[...] და თან სქელ სისხლს აფურ[...] წაბარბაცდა. დოსაევისა მივარდა, შეაკავა მისი უმაღლესობა და დაეკითხა: „რა დაგემართათ“ ო? მემკვიდრემ უპასუხა, „არაფერიო“, ხოლო წყლის მოწოდებაზედ ხელით თანხმობა ანიშნა. მაშინ დოსაევისამ ძირს დაუშვა დიდი მთავარი და მის უმაღლესობას თავი და [...]პირი წყლით გაუგრილა, ამავე დროს გარდაიცვალა მემკვიდრე ცესარევიჩი წყნარად და უტანჯველად. ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვამი მიასვენეს სასახლეში. გარდაცვალების ადგილი შემოღობეს.

**ბელგრადი.** ბლაქო პეტროვიჩი, თავადის ჩერნოგორიელის ნათესავი დღეს შეიპყრეს, მაგრამ რადგან მისი ცოლი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა, ამის გამო სახლში იმყოფება სასტიკ ზედამხედველობის ქვეშ.

**პარიზი.** პრეზიდენტი ლუბე გენერალთა გალიფესა და ბაილოს თანხლებით მივიდა ლონშანში ნაშუადღევის 3 საათზედ. ხალხი გულმხურვალედ მიეგება ყვირილით: „გაუმარჯოს ლუბეს! გაუმარჯოს რესპუბლიკასო!“ დაიწყეს ჯარის დათვალიერება.

**პარიზი.** ჯარის დათვალიერების შემდეგ პრეზიდენტმა ლუბემ გალიფეს წერილით მიმართა, რომლითაც უცხადებს მას კმაყოფილების გრძნობას ჯარის დისციპლინის გამო. ხალხი ჯარს დი[...]ოვაციებს უმართავს.

**რენი.** აქ მოხდა ებრაელთა სა[...] წინააღმდეგოდ პატარა მანიფესტაცია უნივერსიტეტის პროფესორის ბინის წინ. შეპყრობილ იქმნა 5 კაცი. პოლიციამ გაჰფანტა მანიფესტანტები.

**მადრიდი.** მთავრობის წევრთა ახალმა მოლაპარაკებამ ოპოზიციის მეთაურებთან უნაყოფოდ ჩაიარა. ხმა დადის, რომ, ოპოზიციის მიერ საფინანსო პროექტების უარყოფის გამო, კრიზის აუცილებელია.

# განცხადებანი


# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ „РОССІЯ“

| | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 86 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 8[...] |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | [...] |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | [...] |

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ—по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ своими заявленями въ С.-Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреѣсса уплаиивается 40 коп. Отделрные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 ко[...] позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. д[...] 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 1[...] часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно о[...] 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны бытъ за подписью и съ адресомъ автора, безъ чего онѣ печатаемы не будутъ. Статьи, доставляемы безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи яне возвращаются.

ЗАВѢДУЮТЪ ОТДѢЛАМИ:

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А В. Амфитеатровъ.
3 Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраннымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ Соловьевъ и Я. А Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
[...]ки: А. Н. Черный.
[...]альной хроники: М. В.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гиляровскій
Общественный фельетонъ—по воскресеньямъ—Old Gentleman.
Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.
По средамъ печатается «Миллионеръ» повѣсть В. Г. Авсѣенко.
Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетне[...]
Корреспондентъ въ спеціальной командировкѣ по неурожайнымъ мѣстностямъ Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ)
Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т. в.

(8—8)